ხარისხის მართვის თემატური ჯგუფის ოქმი № 10
14 დეკემბერი,
თბილისი_____

თარიღი	ადგილი	დასაწყისი	დასასრული
14 დეკემბერი, 2011	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	16:30	18.00

დღის წესრიგი
1) დღის წესრიგის განხილვა
2) წინა სხდომის ოქმის დამტკიცება
3) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენინგის - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება“ - პროგრამის განხილვა
4) ხარისხის მართვის თემატური ჯგუფის 2011 წლის ანგარიშის განხილვა
5) ხარისხის მართვის თემატური ჯგუფის 2012 წლის სამოქმედო გეგმის განხილვა

მონაწილეები	ორგანიზაცია/ინსტიტუტი	ტელეფონი	ელექტრონული ფოსტა	სტატუსი
მარინა ჟვანია	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსი	577 27 88 41	marina.zhvania@eqe.ge	წევრი
ნინო კოპალეიშვილი	სსიპ-განათლების ხარის ხის განვითარების ეროვნული ცენტრი/შეფასების სამსახურის სამმართველოს უფროსი	57715 33 01	nkopaleishvili@yahoo.com	წევრი
კოტე ჩოკორაია	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი	593 995 113	kote.chokoraia@eqe.ge	მოწვეული
ნანი დალაქიშვილი	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის	577 17 55 77	nani.dalakishvili@eqe.ge nanidalakishvili@yahoo.com	წევრი

ხარისხის მართვის თემატური ჯგუფის ოქმი № 10
14 დეკემბერი,
თბილისი

	სპეციალისტი			
ლალი ღოღელიანი	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი/სამშენებლო დეპარტამენტის უფროსი, პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე	599 70 44 99	lali_gtu@gtu.ge	წევრი
ეკატერინე ჩიკაშუა	სსიპ თბილისის ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული კოლეჯი ”აიტი”/პროგრამებისა და ხერისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	577 13 12 11	eka@gtu.ge	მოწვეული
ლალი შაიშმელაშვილი	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსის მოადგილე	577 27 88 49	lalishaishmelashvili@gmail.com	წევრი
ქეთევან ფანჩულიძე	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის სამმართველო უფროსი	577 27 88 43	panchulidze@yahoo.com	მოწვეული
ნუგზარ ჭინჭარაული	საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირი/თავმჯდომარე	577 15 80 10	Chicharauli@pstug.ge	წევრი
ნინო ჟვანია	სსიპ ილიას უნივერსიტეტი/ხარისხის სამსახურის უფროსი	577 55 69 88	Nino,zhvania@iliauni.edu.ge	წევრი
გოჩა გოგიტიძე	ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია/ პროფესიული მომზადებისა და სერტიფიცირების ცენტრის ხელმძღვანელი	577 44 24 09	g.s.gogitidze@bsma.edu.ge	მოწვეული

1. **დღის წესრიგის განხილვა**

<u>დასკვნები და ქმედებები:</u>
დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი დამატებების გარეშე

2. წინა სხდომის ოქმის (ოქმი №9. 30.11.2011) დამტკიცება

<u>დასკვნები და ქმედებები:</u>
დამტკიცდეს წინა სხდომის ოქმი - **ოქმი თან ერთვის**

3. **განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენინგის - „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება“ - პროგრამის განხილვა**

<u>რეზიუმე:</u>
ტრენინგის პროგრამა წარმოადგინა მარინა ჟვანიამ, რომელმაც ერთხელ კიდევ გაამახვილა ყურადღება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების, კერძოდ სსიპ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ თვითშეფასების ანგარიშების წარმოდგენისას ავტორიზაციის ერთ-ერთი სტანდარტის - საგანმანათლებლო პროგრამები - დაკმაყოფილების თაობაზე და აღნიშნა, რომ თვითშეფასების ანგარიშზე თანდართული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ხშირ შემთხვევაში მეთოდოლოგიურად არასწორად იყო შედგენილი, სწავლის შედეგები არ იყო პროფესიული სტანდარტით დადგენილი შედეგების ადეკვატური, ხარვეზები ჩანდა როგორც სტუდენტის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმებსა და კომპონენტებში. ამდენად, დადგა საკითხი ტრენინგის ჩატარების აუცილებლობაზე სსიპ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებისათვის.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, 2011 წლის 16-18 დეკემბერს, საჯარო სამართლის იურიდიული პირი პროფესიული და საზოგადოებრივი კოლეჯების დირექტორებისა და ხარისხის მენეჯერებისთვის ბაზალეთის კომპლექსში გეგმავს ტრენინგს თემაზე: ”პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება.”

ტრენინგის მიზანია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების წარმომადგენლებმა გაიღრმავონ ცოდნა, რომელიც ხელს შეუწყობს არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწას, ახალი ხარისხიანი პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამების შემუშავებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრების მომზადებას.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები გაეცნობიან პროფესიულ სტანდარტზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების მეთოდოლოგიას და პრაქტიკული სავარჯიშოების მეშვეობით გაიღრმავებენ ცოდნას.
ტრენინგზე განიხილება შემდეგი საკითხები:

- სიახლეები პროფესიული განათლების სისტემაში და საკანონმდებლო ბაზა
- პროფესიული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და პროფესიული სტანდარტების მნიშვნელობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები
- კრედიტების გაანგარიშების წესი
- სასწავლო გეგმა და სწავლის შედეგების რუქა
- სწავლების მეთოდები
- სტუდენტის შეფასება
- სილაბუსის სტრუქტურა და ძირითადი მახასიათებლები
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა

ტრენინგის 46 მონაწილეს შორის არიან: სსიპ პროფესიული და საზოგადოებრივი კოლეჯების წარმომადგენლები, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები. ტრენინგის პირველი დღე მიეძღვნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მომზადების სამართლებრივ საფუძვლებს (საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტები). მეორე დღეს განიხილება პროგრამისა და სტუდენტის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. ტრენინგს გაუძღვებიან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები.

<u>შენიშვნები:</u>

მოსაზრებები გამოთქვეს:
ლალი ღოღელიანმა, ქეთევან ფანჩულიძემ, ლალი შაიშმელაშვილმა, ეკატერინე ჩიკაშუამ, ნუგზარ ჭინჭარაულმა, რომელთა აზრით ტრენინგის პროგრამა სრულად მოიცავს ყველა იმ კომპონენტს, რომლის გათვალისწინებით უნდა მომზადდეს ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამები და სავარაუდოდ, ჩატარებული ტრენინგი ბევრ სასარგებლო პრაქტიკულ ცოდნას მისცემს მონაწილეებს.

<u>დასკვნები და მოქმედებები:</u>

1. წარმოდგენილი თემატიკის საფუძველზე მომზადდეს ტრენინგის პროგრამა და განრიგი.

4.ხარისხის მართვის თემატური ჯგუფის 2011 წლის ანგარიშის განხილვა

<u>რეზიუმე:</u>

ნანი დალაქიშვილმა ისაუბრა ხარისხის მართვის თემატური ჯგუფის 2011 წლის საქმიანობის შესახებ და გაამახვილა ყურადღება იმ ძირითად პრინციპზე, რომლითაც ხელმძღვანელობდა ჯგუფი საქმიანობისას, კერძოდ, ხარისხის მართვის თემატური ჯგუფი შექმნილია ეროვნული პროფესიული საბჭოს ფორმატში პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხარისხის განვითარების მექანიზმების დანერგვის ხელშესაწყობად. 2011 წლის განმავლობაში, მიმდინარე სხდომის ჩათვლით, ჩატარდა ჯგუფის 10 სხდომა. სხდომებზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სარეკომენდაციო ფორმის განხილვა ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების 2011 წლის თვითშეფასების ანალიზის საფუძველზე მომზადებული რეკომენდაციების განხილვა;
- ETF-ის პროექტისათვის "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება საქართველოში" მოსალოდნელი მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგების განხილვა;
- განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა სწავლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში- საპილოტე პროექტები: ახალი გზები პროფესიულ განათლებაში - განხილვა;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ 2011 წლის თვითშეფასების ანგარიშით წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი და საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ამ პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება-მოთხოვნის ანალიზი.

ხორციელდებოდა თემატური ჯგუფების მიერ აღნიშნულ საკითხებზე მომზადებული წინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენა ეროვნულ პროფესიულ საბჭოზე განსახილველად, მაგ. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების 2011 წლის თვითშეფასების ანალიზის საფუძველზე მომზადებული რეკომენდაციების განხილვა.

ნანი დალაქიშვილმა ისაუბრა აგრეთვე დარგობრივი საბჭოების /თემატური სამუშაო ჯგუფების მუშაობის ფორმატზე. კერძოდ, პროფესიული განათლების ხარისხისა და კვალიფიკაციის სისტემის განვითარების მიზნით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2010 წლიდან ფუნქციონირებს დარგობრივი საბჭოები/თემატური სამუშაო ჯგუფები დამსაქმებლების, პროფესიული გაერთიანებების (ასოციაციები, კავშირები და სხვ.), სახელმწიფო მმართველობითი ორგანოების

წარმომადგენლების, უმაღლესი საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მონაწილეობით. 2011 წლის იანვარში ცენტრის დირექტორის ბრძანებებით (№№19-30) განახლდა ამ ჯგუფების შემადგენლობა. სექტემბერში მათ კიდევ ორი ჯგუფი დაემატა: არქიტექტურისა და მეცნიერების/ზუსტი მეცნიერების. შესაბამისად, დარგობრივმა საბჭოებმა/ თემატურმა სამუშაო ჯგუფებმა შემდეგი სფეროები მოიცვეს:

1. სამთო და გეოინჟინერია;
2. მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია, მეტალურგია და მასალათმცოდნეობა;
3. ხელოვნების მიმართულება;
4. ბიზნესის ადმინისტრირება;
5. ტურიზმი;
6. ჯანდაცვა;
7. საზღვაო, სარკინიგზო, საჰაერო, სახმელეთო ტრანსპორტი;
8. ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია
9. აგრარული მეცნიერებები;
10. მასობრივი კომუნიკაცია/ ჟურნალისტიკა;
11. მშენებლობა და გარემოს ინჟინერია
12. კომპიუტინგი/ინფორმატიკა და ტელეკომუნიკაცია
13. არქიტექტურა;
14. მეცნიერება/ზუსტი მეცნიერება.

დარგობრივი საბჭოების აქტიური მონაწილეობით 2010 მომზადდა პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო, კვალიფიკაციების ნუსხა (კლასიფიკატორი) და ისინი მონაწილეობდნენ პროფესიულ სტანდარტების შემუშავებაში. მათი ჩართულობით 2010 წელს შემუშავებული და დამტკიცებულია 107, ხოლო 2011 წელს 119 პროფესიული სტანდარტი, რომლებიც დამტკიცებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. დამტკიცებული პროფესიული სტანდარტები, ისევე როგორც მათი პროექტები, განთავსებულია ცენტრის ვებ-გვერდზე და მისაწვდომია პროფესიული განათლების სისტემის მომხმარებლებისა და პროვაიდერებისათვის. არსებობს ამ სტანდარტების დარგობრივ საბჭოებთან/თემატურ სამუშაო ჯგუფებთან განხილვის ოქმები. 2011 წელს ამ ჯგუფების სხდომებზე განხილულ იქნა აგრეთვე ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალში კონკრეტული პროფესიული სპეციალიზაციების დამატების საკითხები.

<u>**რეკომენდაციები:**</u>

- ხარისხის მართვის თემატური ჯგუფის სხდომები ჩატარდეს თვეში ერთხელ
- ყოველი სხდომის შემდეგ მოხდეს წინადადებებისა და რეკომენდაციების მიწოდება ეროვნული პროფესიული საბჭოსათვის.

<u>შენიშვნები:</u>

მოსაზრებები გამოთქვეს: მარინა ჟვანიამ, კოტე ჩოკორაიამ, ლალი შაიშმელაშვილმა, ნუგზარ ჭინჭარაულმა, რომელთა აზრით, გამოთქმული რეკომენდაციები გათვალისწინებულ უნდა იქნას ხარისხის მართვის თემატური ჯგუფის მომავალი წლის სამოქმედო გეგმის საბოლოო ვარიანტის შემუშავების დროს და ასევე, ჯგუფის მომავალი ფუნქციონირებისას.

<u>დასკვნები და ქმედებები:</u>

ანგარიშის ფარგლებში წარმოდგენილი რეკომენდაციები და გამოთქმული მოსაზრებები და შენიშვნები გათვალისწინებულ იქნას ხარისხის მართვის თემატური ჯგუფის 2012 წლის საქმიანობის დაგეგმვისა და მიმდინარეობისას.

5.ხარისხის მართვის თემატური ჯგუფის 2012 წლის სამოქმედო გეგმის განხილვა

<u>რეზიუმე:</u>

მარინა ჟვანიამ წარმოადგინა ხარისხის მართვის ჯგუფის 2012 წლის დროში გაწერილი სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელშიც ასახულია შემდეგი საკითხები:

- თემატური ჯგუფის სხდომაზე სახელმწიფო პროფესიული და საზოგადოებრივი კოლეჯების მენეჯერებისა და შიდა შემფასებლებისათვის ხარისხის მართვაში ჩასატარებელი ტრენინგ-მოდულის განხილვა და რეკომენდაციების მომზადება
- თემატური ჯგუფის სხდომაზე სახელმწიფო პროფესიული და საზოგადოებრივი კოლეჯების მენეჯერებისა და შიდა შემფასებლებისათვის ხარისხის მართვაში ჩატარებული ტრენინგების შედეგების განხილვა
- თემატური ჯგუფის სხდომაზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგიის განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება
- თემატური ჯგუფის სხდომაზე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის მართვის უზრუნველყოფის არსებული ვითარების შესასწავლად შემუშავებული კითხვარის განხილვა
- თემატური ჯგუფის სხდომაზე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის არაფორმალური განათლების აღიარებაზე ჩასატარებელი ტრენინგის პროგრამის განხილვა
- თემატური ჯგუფის სხდომაზე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის არაფორმალური განათლების აღიარებაზე ჩატარებული ტრენინგის შედეგების განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება
- თემატური ჯგუფის სხდომაზე ხარისხის მართვის უზრუნველყოფის არსებული ვითარების შესასწავლად პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი შევსებული კითხვარების ანალიზის შედეგების განხილვა

- თემატური ჯგუფის შეხვედრაზე დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშების ანალიზის შედეგების განხილვა
- თემატური ჯგუფის სხდომაზე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის მართვის უზრუნველყოფის რეკომენდაციების განხილვა
- თემატური ჯგუფის სხდომაზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შედეგების განხილვა

შენიშვნები:

მარინა ჟვანიამ, კოტე ჩოკორაიამ, ნინო ჟვანიამ გამოთქვეს მოსაზრებები, ხარისხის მართვის თემატური ჯგუფის 2012 წლის სამოქმედო გეგმას დაემატოს შემდეგი საკითხები:

- ლიბერალური განათლების პროგრამის მახასიათებლების პროექტის განხილვა
- ავტორიზაცია/აკრედიტაციის პროცესის მიმდინარეობის შუალედური განხილვა მარტში
- ETF-ის პროექტის - "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება საქართველოში" - შუალედური შედეგების განხილვა აპრილში

ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ სამოქმედო გეგმა გაიწეროს შედეგებით, შემოწმებადი ინდიკატორებით, აქტივობებით და შესრულების რესურსებით.

დასკვნები და მოქმედებები:

- მოწონებულ იქნას ხარისხის მართვის თემატური ჯგუფის სამოქმედო გეგმაში შესატანი საკითხები
- გეგმა გაიწეროს ექსპერტების მიერ რეკომენდირებულ ფორმაში **(ფორმა თან ერთვის)**

თემატური ჯგუფი - ——————————————---

2012 წლის სამოქმედო გეგმა

შემუშავებულია: თემატური ჯგუფის - ---------- -მიერ
დამტკიცებულია: ეროვნული პროფესიული საბჭოს მიერ

თბილისი, --- იანვარი, 2012 წელი.

აბრევიატურა

ეც	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
გმს	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ეპს	ეროვნული პროფესიული საბჭო

მოკლე მიმოხილვა

სათაური	თემატური ჯგუფის - ---------- 2012 წლის სამოქმედო გეგმა
განმახორციელებელი ერთეული	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი თემატური ჯგუფი - ----------
პარტნიორები	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეროვნული პროფესიული საბჭო, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები, პროფესიული კავშირები და ასოციაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები
დაფინანსება	სახელმწიფო ბიუჯეტი
ზოგადი მიზანი/მიზნები	პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა
სპეციფიური მიზანი/მიზნები	ხარისხის მართვის თემატური ჯგუფის საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების ხელშეწყობა VET SPSP პროგრამის განხორციელების მონიტორინგი
პერიოდი	01.01.2012 - 31.12.2012

თემატური ჯგუფის შემადგენლობა

№	**სახელი, გვარი**	**ორგანიზაცია**	**თანამდებობა**
1.			
2.			

3.			
4.			
5.			
6.			
7.			
8.			
9.			
10.			
11.			
12.			
13.			
14.			

15.			
16.			
17.			
18.			
19.			

ღონისძიებების განხორციელებისა და მონიტორინგის გეგმა

შედეგები	შემოწმებადი ინდიკატორები	აქტივობები	შემოწმების საშუალებები	შესრულების თარიღი	რესურსები

დაწყების თარიღი: 01.01.2012
დასრულების თარიღი: 31.12.2012

თემატური ჯგუფის ---------- - 2012 წლის დროში გაწერილი ღონისძიებების გეგმა

ა ქ ტ ი ვ ო ბ ე ბ ი	თ ვ ე											
	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერ	ოქტომბერ	ნოემბერი	დეკემბერი